51-22. ასე ამბობს შენი მეუფე, უფალი შენი ღმერთი, მოსარჩლე თავის ხალხის: აჰა, გართმევ შენი ხელიდან სიბრუის თასს, ფიალას, თასს ჩემი რისხვისა, რომ მეტჯერ აღარ შესვა იგი.

51-23. და ხელში მივცემ მას შენს მტანჯელებს, რომლებიც გეუბნებოდნენ დანექი, რომ გადაგიაროთ, და შენც მიწასავით გახადე შენი ზურგი და ქუჩასავით გამვლელთათვის.

52-1. გაიღვიძე, გაიღვიძე, შეიმოსე ძალი შენი, სიონო! შეიმოსე შენი დიდების სამოსელი, იერუსალიმო, წმიდა ქალაქო, რადგან აღარ შემოგივა წინდაუცვეთელი და უწმიდური.

53-3. აჰა, მოჭკუანდა ჩემი მორჩილი, გაიმართება აღზევება და დიდი ამაღლება.

54-15. მოგიხდებიან, მაგრამ არა ჩემგნით, შენი მომხდურნი შენს წინაშე დაეცემა.

54-17. ყოველი იარაღი, შენს წინააღმდეგ გამოჭედილი გაცუდდება და ყოველ ენას, შენს წინააღმდეგ აღმდგარს, სამსჯავროზე გაამტყუნებ, ესაა ნილხვედრი უფლის მორჩილთა და მათი გამართლება ჩემგნით, ამბობს უფალი.

56-6. ეძებეთ უფალი, როცა შეიძლება მისი პოვნა; მოუსმინეთ მას, როცა ახლოს არის იგი.

56-7. უცხოთა შვილები, რომელნიც მიეკარნენ უფალს, მოვიყვან ჩემს წმიდა მინაზე და ჩემს სამლოცველო სახლში გავახარებ, მათი აღსავლენი და მათი მსხვერპლნი სასურველი იქნება ჩემს სამსხვერპლოზე, რადგან ჩემს სახლს ყველა ხალხის სამლოცველო სახლი დაერქმევა...

60-14. ქედმოხრილი მოვლენ შენს წინაშე შენში მჩაგვრელების შვილები და შენს ფეხთა ტერფებთან დაემხოება ყველა შენი მოძულე, გინოდებენ საუფლო ქალაქს, სიონს, ისრაელის წმიდას.

61-6. თქვენ კი უფლის მღვდლებად იქნებით წოდებულნი და ჩვენი ღმერთის მსახურნი დაგერქმევათ, ხალხთა დოვლათს შეჭამთ და მათი დიდება გადმოვა თქვენზე.

62-1. სიონის გამო არ დავდუმდები და იერუსალიმის გამო არ დავმშვიდდები, ვიდრე ნათელივით არ გამოჩნდება მისი სიმართლე და ანთებული ლამპარით მისი ხსნა.

66-1. ასე ამბობს უფალი: „ცა ტახტია ჩემი და

ქვეყანა კვარცხლბეკი ჩემი. სად არის სახლი, რომელსაც მიშენებთ მე და სად არის ადგილი, ჩემი დასასვენებელი.“

იერემია: 2-26. როგორც ქურდს შერცხვე-
ბა ხოლმე, როცა წაასწრებენ, ასე შეირცხვინა თავი ისრაელის ხალხმა, მისმა მეფეებმა, მთავრებმა, მღვდლებმა, წინასწარმეტყველებმა.

4-14. გულიდან ამოირეცხე ბოროტება, იერუსალიმო, რომ გადარჩე! როდემდის უნდა იბუდოს შენს წიაღში უკეთურმა ზრახვებმა?

12-14. ასე ამბობს უფალი: „ყველა ჩემს ბოროტ მეზობელს, რომელთაც ხელყვეს სამკვიდრო, ჩემს ერს რომ დავუმკვიდრე, წარვხოცავ მათი ქვეყნიდან და იუდას სახელსაც წარვხოცავ მათთან ერთად“.

13-18. უთხარი მეფეს და დედოფალს: ჩამოდით ტახტიდან და ძირს დასხედით, რადგან მოგეხადათ თქვენი მშვენიერი გვირგვინი.

13-19. სამხრეთის ქალაქები ჩაკეტილია და არავინაა გამღები, განდევნილია მთელი იუდა, პირწმინდად განდევნილი.

13-20. აახილეთ თვალი და შეხედეთ ჩრდილოეთიდან მომავალთ, სად არის სამწყმსო, შენ რომ ჩაგაბარეს, შენი მშვენიერი ფარა?

13-21. რას იტყვი, როცა მოგკითხავენ პასუხს? შენ თავად არ ასწავლე მათ, როგორ ებატონათ შენზე, განა კრუნჩხვები არ გტანჯავს მშობიარე ქალივით.

13-25. ეს არის შენი წილი, ეს ხვედრი გეკუთვნის ჩემგან, რაკი დამივიწყე და სიცრუის იმედი გქონდა.

15-20. დაგაყენებ ამ ხალხის წინ სპილენძის მა-

გარ კედლად. შეგებრძოლებიან, მაგრამ ვერ გძლევენ, რადგან შენთან ვიქნები, რომ გიხსნა და დაგიფარო, ამბობს უფალი.

15-21. დაგიფარავ ბოროტმოქმედთაგან და დაგიხსნი უწყალოთა ხელიდან.

16-14. აჰა, დადგება ჟამი, ამბობს უფალი, როცა აღარ იტყვიან, ვფიცავ უფალს, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოიყვანა ისრაელიანები.

16-15. არამედ, ვფიცავ უფალს, რომელმაც გამოიყვანა ისრაელიანები, ჩრდილოეთის ქვეყნიდან და ყველა ქვეყნიდან, სადაც კი განდევნილი ჰყავდა ისინი, რადგან დავაბრუნებ მათ თავიანთ მიწაზე, რომელიც მათ მამა-პაპას მივეცი.

ისრაელი რომ საქართველოა, ამას თვით „ბიბლია“ რამდენიმეჯერ იმეორებს, რომ გონგახსნილი ქართველი მიხვდეს, თუ ვინაა ის, რა ღვთიური ფუნქცია გვეკისრება და რა უნდა ვაკეთოთ ცხოვრებაში, რომ მივალნიოთ ჩვენს სულთა მარადიულ სიცოცხლეს, ასევე, დაფუტოვოთ შთამომავლობას სამომავლო ბედნიერი ცხოვრება.

იერემია: 23-11. რადგან გაირყვნენ წინასწარმეტყველნიც და მღვდლებიც, ჩემს სახლშიც კი ვპოულობ მათ ნაკვალევს, ამბობს უფალი.

23-17. ეუბნებიან ჩემს მაგინებლებს: უფალმა თქვა, მშვიდობა გექნებათო და ყველას, ვინც თავის გულისთქმას აყოლია, ეუბნებიან: უბედურება არ დაგვემართებაო.

23-20. არ გაბრუნდება უფლის რისხვა, ვიდრე არ შეასრულებს, ვიდრე არ მიაღწევს განზრახულს, უკანასკნელ დღეებში მიხვდები ცხადად.

25-33. ქვეყნის კიდიდან კიდემდე ეყრებიან იმ დღეს უფლის დაბოცილნი, არვინ დაიტირებს, არვინ აკრეფს, არვინ დამარხავს, ნეხვივით ეყრებიან მიწის პირზე.

25-35. გასაქცევი აღარ ექნებათ მწყემსებს და თავშესაფარი ჯოგის პატრონებს.

30-31. რადგან შენთან ვარ, ამბობს უფალი, რომ გიხსნა, რადგან ბოლოს მოვუღებ ყველა ხალხს, რომელთა შორისაც მყავხარ გაფანტული. შენ კი არ მოგიღებ ბოლოს, ოღონდ დაგსჯი სამართლიანად; დაუსჯელს არ დაგტოვებ.

დიახ, შესამჩნევად და ძალზე მკაცრად ვისჯებით სამართლიანად.

იერემია: 30-16. და, მაინც, შეიჭმებიან შენი შემეჭმელები, შენი მტრები ტყვეობაში წავლენ; აოხრდებიან შენი ამოხრებლები, გავაძარცვინებ შენს მძარცველებს.

30-21. მისგანვე იქნება მისი მთავრები და მისივე წიაღიდან გამოვა მისი გამგებელი, მოვიახლოებ მას და ისიც ახლოს მოვა, რადგან ვინ გაბედავს ჩემთან მოსვლას? – ამბობს უფალი.

30-30. აჰა, დადგება ჟამი, – ამბობს უფალი და ახალ აღთქმას დავუდებ იერუსალიმის სახლს და იუდას სახლს.

30-32. რადგან ეს არის აღთქმა, რომელიც უნდა დავუდო ისრაელს, იმ დღის შემდეგ, ამბობს უფალი. წიაღში ჩავუდებ მათ ჩემს რჯულს და გულზე დავანერ. მათი ღმერთი ვიქნები მე და ისინი ჩემი ერი იქნებიან.

50-5. სიონის გზას იკითხავენ, აქეთ ექნებათ პი-

რი. მოვლენ, რომ შეეკრან უფალს საუკუნო, დაუვინ-ყარი აღთქმით.

50-33. ასე ამბობს ცაბაოთ უფალი: დათრგუნულნი არიან ისრაელიანები და იუდეველნიც, მაგრად უჭირავთ ისინი მათ დამატყვევართ, არ უნდა მათი გაშვება.

წმიდანი, სერაფიმა საროველი უტოვებს რუს ხალხს ანდერძს, სადაც აღნიშნულია, რომ „რუსეთის სამომავლო ბედნიერების გასაღები იბერიაში დევსო“. თუმცა, რუსეთის ხელმძღვანელობამ კარგად იცის, რომ რუსეთს არცერთი დიდი ომი ქართველ მხედართმთავართა გარეშე არ მოუგია. ამიტომაც რუსეთი, უფალი ღმერთის ჩარევის გარეშე, საქართველოს არ დათმობს...

იერემია: 50-46. მოვა ბაბილონის აღების ამბავი და შეძრწუნდება ქვეყანა, კივილის ხმა გაისმება ხალხებში.

51-10. უფალმა გამოიტანა ჩვენი სიმართლე. ნავიდეთ და გავაცხადით სიონზე (კავ-კა-სიონზე, დიდი სიონი, რადგან „კა“ მეორდება როგორც „დი“ მეორდება). უფალი ღმერთის ყოველი ნამოქმედარი რომ გაიგონ ქვეყნის მკვიდრმა.

51-36. ამიტომ ასე ამბობს უფალი: აჰა, დავიცავ შენს სიმართლეს და შენს გამო, ვიძიებ შურს. ამოვაშრობ მათ ზღვას და დაუშრეტ წყაროს.

ბარუქი: 2-15. რათა გაიგოს მთელმა ქვეყანამ, რომ შენ ხარ უფალი, ჩვენი ღმერთი და რომ შენი სახლი ეწოდება ისრაელს და მის მოდგმას.

3-24. ო. ისრაელ, რა დიდია ღვთის სახლი და რა ფართოა მისი სამფლობელო.

3-28. დაილუპნენ, რადგან არა ჰქონდათ სიბრძნე, დაილუპნენ თავიანთი უგუნურებით.

3-37. მან იპოვა ყოველი გზა ცოდნისა და მისცა ის იაკობს, თავის მორჩილს და ისრაელს, რომელიც შეიყვარა.

4-1. ეს არის დავითის ბრძანებათა წიგნი და რჯული, რომელიც საუკუნოდ იქნება, ყოველი მისი დამტყერი იცოცხლებს, მისი მიმტოვებელი კი მოკვდება.

4-5. გამხნევდით, ერო ჩემო, ხსოვნავ ისრაელი-სა!

4-25. შვილებო, დაითმინეთ თქვენზე მოწეული ღვთის რისხვა. გდევნა შენმა მტერმა, მაგრამ ჩქარა იხილავთ მის დამხობას, ფეხით გათელავთ მის ქუდს.

4-33. რადგან რამდენადაც გაიხარა შენი დაცემით და მოილხინა შენი დამხობით, იმდენად დამწუხრდება თავისი მოოხრებით.

4-34. ნავართმევ მას ხალხმრავლობის სიხარულს და ლხენა მისი გლოვად შეიცვლება.

5-3. რადგან ღმერთი ყველას უჩვენებს შენს ბრწყინვალებას ცის ქვეშეთში.

5-4. რადგან შენი ღვთის მიერ საუკუნოდ დაერქვა სახელი, მშვიდობა სიმართლისა და დიდება ღვთის ნებისა (ქრისტიან მართლმადიდებელი).

5-9. რადგან წარუძღვება ღმერთი ისრაელს სიხარულით თავის დიდების ნათელში, თავისი წყალობითა და სიმართლით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორი ათას წელს, დედამინა შევიდა უფალი ღმერთის ნათელში, იმ სივრცეში, რომელსაც მართავს თვით უფალი ღმერთი ისრაელისა. თუმცა, XX საუკუნის ბოლო ოცი წელი

და XXI საუკუნის დასაწყისი. 20 წელი იყო გარდამავალი პერიოდი დედამიწის ელიფსის წვერზე ბნელში მოძრაობიდან, ელიფსის გვერდზე უფალი ღმერთის ნათელში სამოძრაოდ გადასვლისა. ხოლო 2020 წლიდან 2030 წლის ჩათვლით, არის ბოლო ჟამი, რომელიც აღვწერე ჩემს წიგნში „ბოლო ჟამი“, რომელიც დევს ეროვნული ბიბლიოთეკის „ივერიელი“-ს საიტზე და იყიდება მეტრო თავისუფლების მოედანსა და ყოფილი „მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეს“ შორის.

ეზეკიელი: 3-18. როცა ბოროტეულს ვეტყვი: სიკვდილით მოკვდები-მეთქი. შენ კი არ გააფრთხილებ მას და არაფერს ეტყვი ბოროტეულს, ბოროტი გზიდან ჩამოსაშორებლად, რომ გადარჩეს, მოკვდება ბოროტეული თავის უკეთურებაში და მის სისხლს შენ მოგკითხავ.

3-19. თუ შენ გააფრთხილებ ბოროტეულს, მაგრამ არ მოექცა თავისი ბოროტებიდან და ბოროტი გზიდან, ის თავის უკეთურებაში მოკვდება, შენ კი გადარჩენილი გყავს შენი თავი...

სწორედ, ამ გაფრთხილებამ დამაწყებინა წერა წიგნებისა, რაც შევიმეცნე, „ბიბლიის“ კითხვით ნაწილი ცოდნისა, რაც შევძელი, დავწერე და გამოვაქვეყნე წიგნების სახით: „ოს კარი“, „აისი საქართველოში“ და „ბოლო ჟამი“; ხოლო დანარჩენი წიგნები ვერ დავბეჭდე და ვერ გამოვეცი. ვარ პენსიონერი და სხვა შემოსავალი არ მაქვს, დახმარებით კი არავინ მებმარება...

ეზეკიელი: 7-19. დადგა ჟამი. მოაღწია დღემდე. მიყიდველს ნუ გაეხარდება, გამყიდველი ნუ იწუხებს,

რადგან მთელი სიმრავლე მათი შერისხულია, ამბობს უფალი ღმერთი.

9-4. უთხრა მათ უფალმა: ჩაიარეთ ქალაქში, იერუსალიმში და ნიშანი დაადეთ შუბლზე იმ ხალხს, რომელიც კვნესის და მოთქვამს იქ ჩადენილი სისადაგლეთა გამო.

9-5. სხვებს უთხრა ჩემს გასაგონად: მოიარეთ ქალაქი მათ კვალზე და მუსრეთ, ნუ შეიბრალებს თქვენი თვალი და ნუ დაინდობთ...

9-7. უთხრა მათ, გააუნმიდურეთ ტაძარი და აავსეთ ეზოები დახოცილებით და გადით. ისინი გავიდნენ და ქალაქში დაიწყეს მუსვრა.

18-4. აჰა, ჩემია ყოველი სული; როგორც მამის სული, ისე შვილის სული მე მეკუთვნის, ოღონდ ცოდვილი სული უნდა მოკვდეს... დადგა ეს ჟამი და დაიწყო მოსახლეობის აღნუსხვა ანგელოზთა მიერ. ყოველი კეთილი აღნუსხული იქნება უფალი ღმერთის ბეჭდით, ხოლო ბოროტეულნი დარჩებიან ამ ბეჭდის გარეშე.

ეზეკიელი: 33-14. როცა ვეუბნები ბოროტეულს, მოკვდები-მეთქი, ის კი მოექცევა თავისი ცოდვებისაგან და იქმს სიმართლეს და სამართალს.

33-15. გირაოს დააბრუნებს ბოროტეული, წართმეულს ზღავს, სიცოცხლის წესებით ივლის და ბოროტებას არ ჩაიდენს, ის ცოცხალი დარჩება, არ მოკვდება.

43-2. და, აჰა, ისრაელის ღვთის დიდება მიდითა აღმოსავლეთის გზით, მისი ხმა დიდი ნიაღვრის ხმასავით იყო, ქვეყანა განათდა მისი დიდებით.

43-7. მითხრა: ადამის-ძევ! ეს არის ადგილი ჩემი

ტახტისა და ადგილი ჩემი ფეხთა ტერფებისა, სადაც საუკუნოდ ვიქნები ისრაელიანთა შორის. აღარ გააუწმიდურებს ჩემს წმიდა სახელს ისრაელის სახლი, არც ის და არც მისი მეფეები, თავიანთი გარყვნილებით და თავიანთ მეფეთა ძეგლებით გორაკებზე.

დანიელი: 2-47. მიუგო მეფემ დანიელს და უთხრა: თქვენი ღმერთი ქეშმარიტად ღმერთთა ღმერთია, მეფეთა მეფეა და საიდუმლოთა განმცხადებელი, ამიტომ შეძლო მან ამ საიდუმლოს გაცხადება...

ოსია: 3-4. რადგან დიდხანს დარჩება ისრაელიანები უმეფოდ, უსარდლოდ, უმსხვერპლოდ და უსვეტოდ, უეფედოდ და უთერაფიმოდ.

3-5. მერე მოიქცევიან ისრაელიანები და ძებნას დაუწყებენ უფალს, თავიანთ ღმერთს, და დავითს, თავიანთ მეფეს და მოწინებით განიმსჭვალევიან უფლისა და მისი მადლის წინაშე უკანასკნელ დღეებში.

4-6. მოისპობა ჩემი ერი უმეცრების გამო, რადგან შენ უარყავი ღვთის შემეცნება და მეც გადააყენე ჩემი მღვდლობიდან. დავინწყებული გაქვს ჩემი რჯული და მეც დავივინწყებ შენს შვილებს.

4-7. რაც უფრო მრავლდებიან, მით უფრო სცოდავენ ჩემს წინაშე. მათ პატივს სირცხვილად შევცვლი.

4-8. ცოდვებით იკვებება ჩემი ერი და უკეთურებისკენ მიუწევთ გული.

4-9. მღვდელი და ერი ერთი შეიქმნა. მსჯავრს დავდებ მათ, მათი გზების გამო და მივაგებ მათ, მათი საქმეების მიხედვით.

5-7. უღალატეს უფალს, რადგან უცხოთა შვილებს შობენ, ამიერიდან, მახვილი შეჭამს მათ წილხვედრითურთ.

5-15. ნავალ, დავბრუნდები ჩემს ადგილზე, ვიდრე არ შეიგნებენ თავიანთ დანაშაულს და ძებნას არ დაუწყებენ ჩემს სახეს, გაუჭირდებათ და მომძებნიან...

ამოს წინ.: 8-11. აჰა, დადგება დღეები, ამბობს უფალი ღმერთი, როცა მოვაველენ ქვეყანაზე შიმშილს, არა შიმშილს პურობისას და წყურვილს წყლისას, არამედ უფლის სიტყვების მოსმენისას.

9-8. აჰა, უფლის ღვთის თვალი ცოდვილთა სამეფოზეა და აღგვი მას პირისაგან მიწისა, ოლონდ საბოლოოდ არ აღგვი იაკობის სახლს, ამბობს უფალი.

9-9. რადგან, აჰა, ვბრძანებ და გავცხრილავ ისრაელის სახლის ყველა ხალხს, როგორც ხორბალი იცხრილება და ერთი მარცვალიც არ დავარდება მიწაზე.

ზაქარია: 13-8. მთელ ქვეყანაზე, ამბობს უფალი, ორი წილი განყდება და დაილუპება, მესამედი კი გადარჩება.

13-9. გავატარებ ცეცხლში ამ მესამედს და გავწმედ, როგორც ვერცხლი იწმინდება და გამოვცდი მათ, როგორც ოქრო გამოიცილება. მაშინ ახსენებენ ჩემს სახელს და მეც შევიყვარებ მათ. ვიტყვი, ეს არის ჩემი ერი, იტყვიან ისინი, უფალია ჩემი ღმერთი.

14-6. იმ დღეს აღარ იქნება ნათელი, არამედ სიცივე და ყინვა.

14-7. იქნება ერთი დღე უფლისათვის, საცნაური არც დღე და არც ღამე. მხოლოდ საღამო ჟამს იქნება ნათელი.

14-8. იმ დღეს იქნება, რომ იდინებს იერუსალი-

მიდან სიცოცხლის წყალი. ერთი ნახევარი აღმოსავლეთის ზღვისკენ წავა, მეორე ნახევარი დასავლეთის ზღვისკენ; ზამთარ-ზაფხული ასე იქნება.

14-9. იქნება უფალი ღმერთი მთელ ქვეყანაზე. იმ დღეს, ერთი იქნება უფალი და მისი სახელიც ერთი იქნება.

14-12. ეს იქნება სატანჯველი, რომლითაც დატანჯავს უფალი ყველა ხალხს, ვინც კი გაილაშქრებს იერუსალიმზე. ზეზეულად შემოაღებებთ ხორცი, დაუღებებთ თვალები ფოსოებში და ენა დაუღებებთ პირში.

14-14. იუდაც შეებრძოლება იერუსალიმს. დახვავდება ყველა გარშემო ხალხის დოვლათი. ოქროვერცხლი და დიდძალი სამოსელი...

მაღაქია: 2-16. რადგან მძულს გარყვნა, ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი და თავის სამოსელის ძალადობით დამფარველი, ამბობს ცაბაოთ უფალი, გაუფრთხილდით თქვენს სულს და ნუ იქნებით ღალატნი.

3-8. განა ადამიანი მოატყვილებს ღმერთს, რომ მეტყველებთ „მე“ და ამბობთ: რაში გატყვილებთო, მეათედში და შესანირავეში.

3-9. წყევლით ხართ დაწყევლილი და მაინც მატყვილებთ მთელი ხალხი.

3-10. მოიტანეთ მთელი მეათედი საგანძურში და იყოს საზრდოდ ჩემს ხალხში. აბა, გამომცადეთ ამით, ამბობს ცაბაოთ უფალი, თუ არ გაგისნათ ცის საქანელნი და არ გადმოგიცალოთ კურთხევა აურწყავად...

ასეთი საგანძური საქართველოში რამდენიმეა,

თუმცა, მისი მოძებნა და გახსნა უფლის ნებით ხდება. ასეთი საგანძობური დიღმის მთაზე გახსნა ფარნავაზ მეფემ, განძი გადაიტანა დასავლეთში, ქუთაისში, შეკრიბა, განწვრთნა და შეაიარაღა ჯარი, დაბრუნდა აღმოსავლეთ საქართველოში და მცხეთიდან განდევნა მტერი. ასე აღადგინა უფალი ღმერთის ერი, ისრაელი და დაუბრუნა მათ მამა-პაპაზე მიცემული ტერიტორიები.

3-18. კვლავ განარჩევთ მართალსა და ბოროტს, ღვთის მორჩილსა და მის ურჩს.

3-21. გათელავთ ბოროტეულთ, რადგან უნდა გაცამტვერდნენ ისინი, თქვენს ტერფებ ქვეშ იმ დღეს, რომელსაც მე ვამზადებ, ამბობს ცაბაოთ უფალი.

3-23. აჰა, მოვაველენ ელია წინასწარმეტყველს უფლის დღის, დიდი და საშინელის დადგომამდე.

3-24. ის შეარიგებს მამების გულს შვილების გულთან და შვილების გულს მამების გულთან, რომ, ჩემი მოსვლისას, ქვეყანა შეჩვენებით, არ შევმუსროთ.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ეკითხები მორწმუნეს, – გვეშველება ჩვენ რაიმე? ის გვპასუხობს: მოვა მესია და ის იხსნის ქვეყანას განსაცდელისგან.

თუმცა, საქართველოში, ყველა პარტიის ე. წ. თავმჯდომარეს თავი იმდენად დიდი აქვს, ჰგონია, რომ ის ნამდვილი მესიაა. სინამდვილეში სატანაა ფულზე სამშობლოს, მოყვასს, შთამომავლობას, რწმენას რომ ჰყიდის.

სინამდვილეში, მესია, ქართული ენით, ასე განიმარტება, აიხსნება, **მე**-თა სია; **მე**-კაცთა სია. ამ სიაში, არ შეიძლება, არაკაცი იყოს გაერთიანებული.

რადგან ისინი უფალი ღმერთის რჩეული პიროვნებებია, ხოლო ერთი მხოლოდ ღმერთია **ღ**-ღვთიური **მ**-მაღალი ერთი. ხოლო დანარჩენნი ღვთის მოსავი, მორჩილნი და რჩეულნი კაცები ვართ. ამიტომაა, ყოველ ღირსეულ კაცს, სახელწოდება „კაცო“ მხოლოდ ქართული ენით მიმართავენ. რაც შეეხება **მე**-კაცებს ასეთი კაცები: ცოდნით, გამოცდილებით, საქმიანობით გამორჩეულნი კაცები არიან. დიახ, სწორედ, ასეთი კაცებისაგან დაკომპლექტებული ჯგუფი არის მესია. ...მხოლოდ ასეთ კაცთა შეკრებით, საუბრით, მსჯელობით, კამათით უნდა ჩამოყალიბდეს ერთი აზრი, ქვეყნის გადასარჩენად და არა პირადი გამდიდრება და ქვეყნის, მოყვასის შთამომავლობის გაყიდვა, გაუბედურებით.

სახარება იოანესი: 1-42. მან პირველმა მონახა თავის ძმა სიმონი და უთხრა მას: ვპოვე **მე სია** (რაც, თარგმნით, ნიშნავს ქრისტეს).

1-48. მისკენ მიმავალი ნათანიელი, რომ დაინახა იესომ, თქვა: აჰა, ჭეშმარიტი ისრაელიტი, ვისთვისაც უცხოა ზაკვა.

პავლე რომ.: 11.2. არ განუშორებია ღმერთს თავისი ხალხი, რომელიც წინასწარ იცნონ. ან, იქნებ, არ იცით, რას ამბობს წერილი ელიასათვის? როგორ შესჩივის იგი ღმერთს, ისრაელის გამო.

11-3. უფალო, შენი წინასწარმეტყველნი მოკლეს და შენი საკურთხეველნი დაანგრის. მელა დავრჩი და ეძებენ ჩემს სულს.

11-4. მაგრამ რას ეუბნება მას, პასუხი ღმერთისა? მე დავტოვე შვიდი ათასი კაცი, რომელთაც არ მოუყრიათ ქედი ბაალის წინაშე.

11.5. ასეა ამჟამადაც, მადლის მიერი, არჩევანით გადარჩა ნაშთი.

უნდა გაგახაროთ, სწორედ, ეს შვიდი ათასი კაცია, რომელთაც თაყვანი არ უციათ კერპების: ფულის, ოქროს, ქონების მიმართ და ბოლომდე შემოგვრჩა სიყვარული უფალი ღმერთის, ქრისტიანი მართლმადიდებლობის, სამშობლოს, მოყვასის, შთამომავლობის მიმართ. ვცდილობთ, მოვძებნოთ ასეთი კაცები, რომ ღმერთის ნებით გავერთიანდეთ და მესიის სახით (**მე კაცთა სიის**), მოვახერხოთ მოსახლეობასთან სწორი იდეოლოგიური მუშაობა და, ჩვენთან ერთად, გავაერთიანოთ ყოველი მსურველი უფალი ღმერთის ნებით დაარსებულ პარტია „სამშობლო“-ში, რადგან ძალაუფლებას მხოლოდ ამ გზით მოვიპოვებთ და გამოვიყენებთ ცხოვრებაში...

სახარება იოანესი: 11-3. დებმა კაცი გაუგზავნეს იესოს და შეუთვალეს: უფალო, აჰა, ვინც შენ გიყვარს, ავად არის!

იესო ქრისტეს ყველაზე საყვარელი მოსწავლე იყო „**ლაზარე**“ (ქართული ენა).

11-4. ეს რომ გაიგო იესომ, თქვა: ეს სნეულება სასიკვდილო არ არის, არამედ, რათა იდიდოს ღმერთის ძემ მისგან.

11-5. უყვარდა იესოს მართა, მისი და და ლაზარე.

11-6. და როცა გაიგო ავად არისო, ორი დღე (ორიათასი წელი) კიდევ დარჩა იმ ადგილას, სადაც იყო.

იესო ქრისტეს დაბადებიდან დაინყო ჩვენი წელთაღიცხვა ორიათას წლამდე. იესო ქრისტე დარჩა იქ, სადაც იყო, ხოლო ორიათას წელს, დაპირებისამებრ,

გამოცხადდა ჩვენთან და აღადგინა მკვდრეთით ლაზარე, მისი საყვარელი მოსწავლე. სწორედ, ამ შეგონებით, ანუ საყვარელი მოსწავლის სახით, მოიხსენიება ლაზარე, ანუ ქართული ენა ასე გაასაიდუმლოეს „ლაზარეს“ სახელით. ამის შემდეგ კი, სადაც ნახსენებია იესო ქრისტეს საყვარელი მოსწავლე, მაშინ უნდა მივხვდეთ, რომ საუბარია „ლაზარეზე“...

ამდენად, ორი ათას წელს აღადგინა, აამოქმედა ლაზარე და დაიწყო ქართული ენით ბიბლიურ საიდუმლოებათა ახსნა-განმარტება, რომ ის გასაგები გამხდარიყო ჩვენთვის. ქართულმა ენამ გამოიფხიზლა, გამოიღვიძა, აამოქმედა მთელი ძალით. მაგრამ, სავალალოდ, ქართველმა ხალხმა ვერ გამოიფხიზლა, გამოიღვიძა და ამიტომაც ჩვენი საქმიანობა მიმართული ქართველი ხალხის გამოსაფხიზლებლად, რომ ღმერთის ნებით, ავამოქმედოთ ისინი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

11-11. ეს თქვა და, ამის შემდეგ, უთხრა მათ: ლაზარემ, ჩემმა მეგობარმა მიიძინა, მაგრამ მივალ და გავაღვიძებ მას.

11-15. და მიხარია თქვენს გამო, რომ იქ არ ვიყავი, რათა ირწმუნო, მაგრამ მივიდეთ მასთან.

11-17. და, როდესაც მივიდა იესო, ნახა, რომ ის უკვე ოთხი დღეა (ოთხი ათასი წელია) საფლავში ინვა.

11-20. მართამ რომ გაიგო, იესო მოდისო, გამოეგება მას. მარიამი კი სახლში დარჩა.

11-21. და უთხრა მართამ იესოს: უფალო, აქ რომ ყოფილიყავი, არ მოკვდებოდა ჩემი ძმა.

11-23. უთხრა მას იესომ: აღდგება შენი ძმა.

11-24. უთხრა მას მართამ: ვიცი, რომ აღდგება აღდგომისას, უკანასკნელ დღეს (ორიათას წელს).

11-25. უთხრა მას იესომ: მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე, ვისაც სწამს ჩემი, კიდევ რომ მოკვდეს, იცოცხლებს.

11-32. მარიამი კი მოვიდა იმ ადგილას, სადაც იესო იყო და როგორც კი დაინახა იგი, ფეხქვეშ ჩაუვარდა და უთხრა: უფალო, აქ რომ ყოფილიყავი, არ მოკვდებოდა ჩემი ძმა.

11-33. როცა იესომ დაინახა, როგორ ტიროდა ის, და ტიროდნენ მასთან ერთად, მოსული იუდეველნიც, შეიძრა სულით და შეკრთა თავადაც.

11-34. და თქვა: სად დაკრძალეთ იგი? უთხრა მას: უფალო, მოდი და იხილე.

11-35. და აცრემლდა იესო.

11-36. ხოლო იუდეველები ამბობდნენ, უყურე როგორ ყვარებია იგი.

13-23. ხოლო ერთი მონაფეთაგანი, რომელიც უყვარდა იესოს, მკერდზე მიყრდნობოდა მას. (უნდა მივხვდეთ, საუბარია ლაზარეზე).

19-25. ხოლო იესოს ჯვართან იდგნენ: დედა მისი და დედის და მისი, მარიამ კლეოპასი და მარიამ მაგდალინელი.

19-26. ხოლო იესომ, როცა დაინახა დედა და იქვე მდგომი მონაფე, რომელიც უყვარდა, უთხრა დედას: დედაო, აჰა, შენი ძე!

19-27. მერე კი მონაფეს უთხრა: აჰა, დედა შენი! და იმ საათიდან მონაფემ თავისას წაიყვანა იგი...

ასეა აღწერილი საიდუმლო, რომლის მიხედვით, ეწოდება საქართველოს წმიდა მარიამ ღვთისმშობ-

ლის წილხვედრი, რადგან ქართული ენა, **ლაზარე** და **წმიდა მარიამ ღვთისმშობელი** ერთად ცხოვრობენ და იცხოვრებენ სამარადჟამოდ. ამავე დროს, უნდა ვიცოდეთ, რომ წმიდა მარიამ ღვთისმშობელი „დედამინა“, რომელმაც შვა იესო ქრისტე და თითოეული ჩვენთაგანი. ამიტომაც მხოლოდ ქართველები ვუნოდებთ დედამინას და სხვები ამის შესახებ გაგებაში არ არიან...

სახარება იოანესი: 21-20. შემობრუნდა პეტრე და დაინახა, რომ უკან მოსდევდა მონაფე, რომელიც უყვარდა იესოს და რომელმაც, სერობისას, მის მკერდზე მიყრდნობილმა უთხრა: უფალო, ვინ გაგცემს შენ?

21-21. ეს რომ დაინახა პეტრემ, უთხრა იესოს: უფალო, კი მაგრამ, ეს რა?

21-22. უთხრა მას იესომ: თუ კი მნებავს, რომ ეგ იყოს, ვიდრე მოვალ, შენ რა? შენ მე გამომყევ.

ვიციტ, იესო ქრისტე მოღვაწეობდა ჩვენი წელთაღრიცხვით, პირველსავე საუკუნის დასაწყისში, მან პეტრესთან საუბარში თქვა:

„თუ კი მნებავს, რომ ეგ იყოს, ვიდრე მოვალ“, ე.ი. ხელმეორედ დავბრუნდები, ან გამოვცხადდები, შენ რაო? ასე, რომ ორიათას წლამდე, ლაზარე და წმიდა მარიამ ღვთისმშობელი (დედამინა) ერთად მოქმედებდნენ და მოღვაწეობდნენ. ამდენად, ვიდრე დედამინა იარსებებს, მანამდე მასთან ერთად იქნება ისრაელიტები (ქართველები) და ლაზარე (ქართული ენა).

21-23. და გავრცელდა ეს სიტყვები ძმებს შორის, რომ ეს მონაფე არ მოკვდება, მაგრამ იესომ ის კი არ თქვა, რომ არ მოკვდება, არამედ: თუკი მნებავს, რომ

ეგ იყოს, ვიდრე მოვალ, მერე შენ რაო?

21-24. ეს არის მონაფე, რომელიც მოწმობდა ამას და დანერა ეს. და იცით, რომ ჭეშმარიტია მონ-
მობა მისი.

21-25. ბევრი სხვა რამეც მოიმოქმედა იესომ:
მაგრამ ყველაფერი სათითაოდ რომ დანერილიყო,
ვგონებ, ქვეყანაც ვერ დაიტევდა დანერილ წიგნებს.
ამინ.

ასეა აღწერილი, გასაიდუმლოებული, თუ როგორ
დაინერა ქართულ ენაზე „ბიბლია“ და როგორ აიხ-
სნება, განიმარტება თითოეული ჩვენთვის, გაუგება-
რი ჩანაწერები...

იაკობისა: 1-5. ხოლო, თუ რომელიმე თქვენგანს
აკლია სიბრძნე, დაე, სთხოვოს ღმერთს, რომელიც
უშურველად მიაგებს მას და მისცემს.

1-12. ნეტარია კაცი, რომელიც გაუძლებს საც-
დურს, რადგან განსაცდელგამოვლილი მიიღებს სი-
ცოცხლის გვირგვინს, რომელიც ღმერთმა აღუთქვა
თავის მოყვარეთ.

1-15. ხოლო შემდეგ, გულისთქმა ჩასახავს და
შობს ცოდვას, ცოდვა კი, ჩადენის შემდეგ, შობს სიკ-
ვდილს.

2-8. თუ ასრულებთ სამეუფეო რჯულს: გიყვარ-
დეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი, კეთილსა ჰყ-
ოფთ.

2-20. გნებავთ, იცოდეთ, ამაო კაცო, რომ რწმე-
ნა მკვდარია საქმის გარეშე.

2-24. ხომ ხედავ, რომ კაცი საქმით მართლდება
და არა მხოლოდ რწმენით.

2-26. ვინაიდან, როგორც სხეული მკვდარია სულის გარეშე, ასევე, რწმენაც მკვდარია საქმის გარეშე.

3-1. ძმანო ჩემნო, ნუ იქცევით მრავალნი მოძღვრად. იცოდეთ, რომ უფრო დიდ სასჯელს მივიღებთ.

3-2. რადგან ყველანი მრავალს ვცოდავთ: ვინც არ ცოდავს სიტყვით, იგია სრულქმნილი კაცი, რომელსაც ძალუძს დაურეგება თავისი ხორცის.

3-8. ენის მოთვინიერება კი არცერთ კაცთაგანს არ ძალუძს, იგია აღვირახსნილი ბოროტება, სავსე მომაკვდინებელი გესლით. **3-10.** ერთსა და იმავე ბაგეთაგან გამოვა კურთხევა და წყევლაც. არ უნდა იყოს ეს, ძმანო ჩემნო, ასე.

4-17. ამრიგად, ვისაც შეუძლია სიკეთის ქმნა, მაგრამ არ იქმს, ცოდვილია.

5-1. ახლა კი თქვენ, მდიდარნო: იტირეთ და ივაგლახებთ თქვენს თავს მოწვენილი უბედურებისათვის.

5-20. იცოდეთ, რომ ცოდვილის მოქცევა მცდარი გზიდან, სიკვდილისაგან იხსნის სულს და დაჩრდილავს უთვალავ ცოდვას.

პირველი პეტრესი: 1-14. თუ ქრისტეს სახელისათვის იგმობით, ნეტარნი ხართ, ვინაიდან სული დიდებისა და სული ღმრთისა ივანებს თქვენზე. მათ მიერ იგმობა იგი, თქვენს მიერ იდიდება.

4-18. და თუ მართალი ძლივსძლივობით ცხონდება, უკეთური და ცოდვილი სადღა იყოს?

პავლე რომ.: 1-18. რადგან რისხვა ღმრთისა ცხადდება ზეცით, ყოველგვარი უღმერთოებისა, თუ უსამართლობის მოქმედ კაცთა მიმართ, რომელნიც უსამართლობით ახშობენ ჭეშმარიტებას...

1-20. რადგან ის, რაც უხილავია მასში, მარადიული ძალა და ღვთაებრიობა მისი, სამყაროს შექმნიდან მისსავ ქმნილებებში ცნობიერდება და ხილული ხდება. ასე, რომ არ შეუძლიათ თავის მართლება.

1-25. სიცრუეზე გაცვალეს ჭეშმარიტება ღმერთისა და ჰმსახურებდნენ შექმნილსა და არა შემოქმედს, რომელიც კურთხეულია უკუნისამდე. ამინ!

1-29. ასე, რომ აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, სიავით, უკეთურებით, ანგარებით, ბოროტებით, სავსენი შურით, მკვლევლობით, შულლით, ზაკვით, ბოროტი ჩვევით...

1-32. რომელთაც იციან ღმერთის სამართალი, მაგრამ არა მარტო თვითონ სჩადიან, არამედ ჩამდენთაც თანაუგრძნობენ.

2-1. ამიტომ თავს ვერ იმართლებ, ვინც არ უნდა იყო, კაცო, რომელიც განსჯი, ვინაიდან მსჯავრით, რომლითაც სხვას განსჯი, შენსავ თავს განსჯი; რადგანაც იმასვე სჩადიხარ, რისთვისაც განსჯი.

2-28. ვინაიდან იუდეველი ის კი არაა, ვინც გარეგნულადაა იუდეველი, არც ისაა წინადაცვეთა, რომელიც გარეგნულია და ხორციელი.

2-29. არამედ იუდეველი ისაა, ვინც შინაგანადაა იუდეველი და წინადაცვეთაც ისაა, რომელიც გული-სა სულისმიერია და არა ასოსმიერი და კაცთაგან კი არ იქნება იგი, არამედ ღმერთისაგან.

3-20. ვინაიდან რჯულის საქმით ვერცერთი ხორციელი ვერ გამართლდება მის წინაშე, რადგან რჯულით შეიმეცნება ცოდვა...

7-19. რადგან კეთილს კი არ ვაკეთებთ, რომელიც მსურს, არამედ ბოროტს, რომელიც არ მსურს.

7-20. ხოლო თუ ამას ვაკეთებ, რაც არ მსურს, მე კი არ ვაკეთებ მას, არამედ ცოდვა, რომელიც მკვიდრობს ჩემში...

8-16. იგივე სული უმოწმებს ჩვენს სულს, რომ ღმერთის შვილნი ვართ.

8-17. ხოლო თუ შვილნი ვართ, მემკვიდრენიც ვართ, ღმერთის მემკვიდრენი და ქრისტეს თანამემკვიდრენი, თუკი მასთან ერთად ვევნებით, რათა მასთან ერთად ვიდიდოთ.

8-19. ვინაიდან ქმნილების სურვილი სასოებით მოელის ღმერთის ძეთა გამოცხადებას.

9-3. ასე, რომ ვისურვებდი, თავად ვყოფილიყავი შეჩვენებული ქრისტეს მიერ ჩემი ძმების, ჩემი სისხლისა და ხორცის გამო.

9-4. რომლებიც არიან ისრაელიტნი და რომლებსაც ეკუთვნის ძეობა და დიდება, მცნებათა და რჯულის დებანი, ღმერთის მსახურება და აღთქმანი...

9-5. მათივე არიან მამანი, რომელთაგან ხორციელად არის ქრისტე ღმერთი, ყველაზე ამალღებული, კურთხეული უკუნისამდე, ამინ. „ამინ“ ქართულია და ნიშნავს „ამ ენით დიდება უფალ ღმერთს“.

9-27. ხოლო ესაია ღალადებს ისრაელისათვის: ისრაელის ძეთა რიცხვი იმდენიც რომ იყოს, რამდენიც ქვიშა ზღვაში, მხოლოდ ნაშთი თუ ცხონდება.

10-9. რადგან თუ შენი ბაგეებით უფლად აღიარებ იესოს, ხოლო შენს გულში იწამებ, რომ ღმერთმა აღადგინა იგი მკვდრეთით, ცხონდება.

10-20. ხოლო ესაია კადნიერდება და ამბობს: ვეპოვინე მათ, რომელნიც არ მეძებდნენ და გამოვეცხადე მათ, რომელნიც არ მკითხულობდნენ.

10-21. ისრაელისათვის კი ამბობს, მთელი დღე გინვდიდი ხელებს ურჩი და უჯჯათი ხალხის მიმართ.

თუ კარგად დაუფიქრდებით, ასევეა დღეს, არავის აინტერესებს, თუ რა მოხდება მომავალში. მხოლოდ დღეს უნდათ, გასკდნენ სიმაძღრით და ხვალ რა მოხდება, არავის აინტერესებს. არავინ ფიქრობს საზოგადოებას, ქვეყნის მართვის რა სისტემას უტოვებთ შთამომავლობას?

პავლე: 11-13. თქვენ გეუბნებით წარმართთ, რადგანაც წარმართთა მოციქული ვარ, ვადიდებ მსახურებას ჩემსას.

11-14. იქნებ, ასე მაინც შევძლო საღმრთო შური აღვძრა ჩემსავ თვისტომთა შორის, ვიხსნა ზოგიერთი მათგანი.

11-15. რადგან თუ მათი განშორება ქვეყნის დაზავებაა, რალა იქნება მათი შეწყალება, თუ არა სიცოცხლე მკვდართაგან.

11-25. ვინაიდან არ მსურს, ძმანო, არ იცოდეთ ეს საიდუმლო (რათა თქვენსავე განსჯას არ დაეყრდნოთ), რომ ისრაელის სიბრმავე ნაწილობრივია, დროებითი, ვიდრე არ შემოვა წარმართთა მთელი სიმრავლე.

სადღეისოდ წარმართთა სიმრავლემ გადააჭარბა კეთილსინდისიერთა რაოდენობას, რაც იმის მაუწყებელია, რომ ბოლო ჟამია, ყოველივე ამის გამოსწორება მხოლოდ უფალ ღმერთს შეუძლია...

პავლე რომ.: 11-26. და ასე, მთელი ისრაელი ცხონდება, როგორც დაინერა: მოვა სიონით მხსნელი და მოაქცევს უღმერთოებას იაკობისაგან.

11-27. და, ეს არის ჩემმიერი აღთქმა მათ მიმართ, როდესაც წარვხოცავ მათ ცოდვებს.

11-28. სახარების მიხედვით, ისინი მტრები არიან, თქვენს გამო, ხოლო არჩევანის მიხედვით, საყვარელნი, მამათა გამო.

11-29. რადგან ღმერთის ნიჭი და მოწოდება უცვალებელი არიან.

11-31. ასევეა ახლა, ისინი ურჩნი არიან თქვენი შეწყალებისათვის, რათა თავადაც შეწყალებულნი იქნენ.

11-32. რადგან ღმერთმა ყველა ურჩობაში მოამწყვდია, რათა ყველანი შეიწყალოს.

11-33. აჰა, ღმერთის სიუხვის, სიბრძნის და ცოდნის სიღრმე! რაოდენ გონება მიუწვდომელი არიან, მისი მსჯავრნი და გამოუკვლეველი მისი გზანი!

11-36. რადგან მისგან და მის მიერ და მის მიმართაა ყოველი დიდება მას, უკუნითი უკუნისამდე, ამინ!..

12-19. თქვენი თავისთვის ნუ იძიებთ შურს, საყვარელნო, არამედ, მიეცით ადგილი ღმერთის რისხვას, ვინაიდან დაწერილია: ჩემია შურის გება და მე მივაგებ, იტყვის უფალი.

12-20. ამრიგად, თუ შენი მტერი მშიერი, დააპურე იგი, თუ მწყურვალია, წყალი ასვი მას, რადგან ამით მოგიზგიზე ნაკვერჩხლებს აგროვებ მის თავზე.

12-21. ნუ იძლევი ბოროტისაგან, არამედ კეთილთ სძლიე ბოროტს, ვინაიდან არ არსებობს ხელმწიფება, თუ არა ღმერთისაგან. დიახ, ყველა ხელმწიფება ღმერთის მიერ დადგენილია.

13-2. ამიტომ, ვინც ეწინააღმდეგება ხელმწიფებას, ღმერთის განაჩენს ეწინააღმდეგება, ხოლო წინააღმდეგომნი თვითონვე მოიწვევენ თავიანთ თავზე სასჯელს.

16-20. ხოლო ღმერთი მშვიდობისა მალე შემუსრავს სატანას თქვენს ფეხქვეშ. მაღლი უფლის ჩვენის ქრისტესი თქვენთან არს, ამინ!

პავლე: 16-25. ხოლო მას, ვისაც ძალუძს განგამტკიცოთ თქვენ, ჩემი სახარებისა და იესო ქრისტეს ქადაგებისამებრ, დაფარული საიდუმლოს გამოცხადებით, რომლის გამოც, დუმდნენ საუკუნენი (ორმოცი საუკუნეა, რაც ბნელ პერიოდს მოუცავს).

საუბარია უკვე გამოცემულ და გამოსაცემ წიგნებზე, რომლებსაც ანერია „ცოდნა, რომლის შესახებ დუმდნენ საუკუნენი“.

პავლე კორ.: 9-13. ნუთუ, არ იცით, რომ ტაძრის მსახურნი ტაძრისაგან ჭამენ და საკურთხევლის მსახურნი საკურთხევლისაგან იღებენ წილს.

9-14. ასე უფალმა უბრძანა სახარების მქადაგებელთ, რომ სახარებით ცხოვრობდნენ.

11-13. ისიც მინდა გაუწყოთ, რომ ყოველი კაცი თავისი ქრისტეა. ქალის თავი კაცია, ხოლო ქრისტეს თავი ღმერთია.

12-8. ზოგს სულისაგან ეძლევა სიბრძნის სიტყვა, ხოლო ზოგს, ცოდნის სიტყვა, იმავე სულით.

12-9. ზოგს რწმენა იმავე სულისაგან, ხოლო ზოგს (სხვადასხვა) ნიჭი იმავე სულისაგან...

13-13. ჯერჯერობით კი ეს სამია: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული, ხოლო ამათმია უმეტესი სიყვარული.

მეორე კორ.: 3-13. და არა ისე, როგორც მოსე, რომელიც საბურველით იბურავდა სახეს, რათა ისრაელის ძეთ არ ეხილათ აღსასრული წარმავალისა.

3-14. მაგრამ დაბრმავდა მათი გონება. იგივე სა-

ბურველი. ძველი აღთქმის კითხვისას, დღემდე ჩამო-
უხსნელი რჩება, ვინაიდან ის იხსნება ქრისტეს მიერ.

სადღეისოდ, იესო ქრისტე ორიათას წელს უკ-
ვე გამოცხადდა და ჩამოხსნა საბურველი ძველ აღ-
თქმას. გაირკვა, რომ ძველი აღთქმა ბაზისია და ახა-
ლი აღთქმა ზედნაშენი. ამიტომაც ორიათასი წლიდან
ამოქმედდა ძველი და ახალი აღთქმა; აიხსნა მრვალი
საიდუმლო, რადგან ისინი ერთდროულად, ერთად
მოქმედებენ ზეციური ღვთიური ცოდნის სიმართლით
გადმოცემას, ხოლო სამღვდელოებას ისევ სძინავს და
არაფრის გაგება არ სურთ. ყოველი ჩემს მიერ გამო-
ცემული წიგნი მივანოდე პატრიარქს, სამ-სამი ცა-
ლი მივიტანე საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში, სანდრო
ეულის ქუჩაზე. თუმცა, არავინ გამომხმაურებია ამის
შესახებ.

5-1. რადგან ვიცით, რომ თუ ჩვენი მინიერი სახ-
ლი, თუ ეს კარავი დაინგრა, ღმერთის მიერ გვაქვს
სასახლე ცაში, სრულქმნილი და მარადიული.

5-17. ასე, რომ ვინც ქრისტეშია, ახალი ქმნილე-
ბაა, ძველი წახდა და, აჰა, ყოველივე არის ახალი.

5-20. ამრიგად, ქრისტესათვის ვმოციქოლობთ,
თითქმის, ღმერთი შეგვაგონებდეთ ჩვენს მიერ და გე-
ვედრებით ქრისტეს სახელით, შეურიგდით ღმერთს.

7-10. რადგან ნუხილი ღმერთის გულისათვის შე-
იქმს სინანულის სახსნელად, ხოლო ნუხილი ამ ქვეყნი-
ური სიკვდილს შეიქმს.

11-14. თუმცა, რა გასაკვირია, თვით სატანაც ხომ
სინათლის მსახურთა სახეს იღებენ? მაგრამ მათივე
საქმეთაებრ იქნება მათი აღსასრული.

პავლე ტიმოთეს: 4-1. ხოლო სული ცხადად

მეტყველებს, რომ უკანასკნელ ჟამს, რწმენისაგან განდგებიან ზოგიერთნი და შეუდგებიან მაცდურ სულთა და დემონთა მოძღვრებას.

4-2. ცრუმეტყველთა თვალთმაქცობისამებრ, რომელთაც დაფერფლეს თავიანთი სინდისი.

ბოლო ოცდაათი წელია, მოქმედებს ეს ფაქტორი ქვეყანაზე. მოვიდა „ბოლო ჟამი“, როდესაც ბოლო უნდა მოეღოს ბოლო დანაშაულს. აღვადგინოთ სიმართლე, სამართალი და სიმართლის დიდება, მართლმადიდებელი რწმენა, რადგან მავანმა და მავანმა უნამუსო, სვინდის დაფერფლილი არაადამიანებმა, პირადი გამდიდრების მიზნით, გაძარცვეს ქვეყანა, მოსახლეობა. საქართველოს საკუთრებაში არაფერი გააჩნია და, სამაგიეროდ, გვაქვს, დაახლოებით, ოცდაათი მილიარდი აშშ დოლარის საგარეო და 50 მილიარდი დოლარის საშინაო ვალები. ამავე დროს, არსებობს სამასამდე სხვადასხვა პარტია, რომელთა თავმჯდომარეები პრეტენზიას აცხადებენ საქართველოს მმართველობითი სისტემის სათავეში მოვიდნენ, რომ რაც კი გადაურჩათ შეუჭმელი, შეჭამონ. ხოლო არცერთს არ გააჩნია ვრცელი პროგრამა, თუ როგორ გადაარჩინონ ქვეყანა და მისი მოსახლეობა დაღუპვისაგან, ისევ მძინარე მოსახლეობას ჭამის მეტი არაფერი აინტერესებთ. ამის შესახებ წერდა სულმნათი ილია ჭავჭავაძე:

„ქართველი ხალხი დაემსგავსა საძოვარზე მიშვებულ ნახირს, რომლებსაც ჭამის მეტი არაფერი აინტერესებსო“. „ო-ღმერთო ჩემო, სულ ძილი, ძილი, როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება“?

სიტყვა „დემოს“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს

ხალხს, ხოლო „დემოკრატია“ ნიშნავს ქვეყნის სახალხო მმართველობის სისტემას, სიტყვა „დემონი“ ნიშნავს „მტაცებელ ურჩხულს“, ხოლო „დემონკრატია“, არის ურჩხულის მიერ ქვეყნის მართვის სისტემა, რომელიც სინამდვილეში გვაქვს ამჟამად. სწორედ, ამიტომაა ამდენი პარტიები შექმნილი, რომ ყველას მოუნდა, გახდნენ ქვეყნის მმართველები და, რაც შეიძლება, მეტად გამდიდრდნენ ქვეყნისა და მოსახლეობის გაქურდვით. ხოლო „დემოკრატია“ არის, მათ შორის, სათამაშო სიტყვა, ამომრჩეველთა მოსატყუებლად. ვიდრე მათ ავირჩევდეთ, მანამდე ისინი დემოკრატის ტყუილებით ატყუებენ ამომრჩეველებს, მათი ნების მოთხოვნილებათა შესრულებას ჰპირდებიან, ხოლო როდესაც აირჩევენ მათ, თანამდებობრივ სავარძლებში ჩასხდებიან, თავს „კანონიერ ქურდებად“ დაიკანონებენ. დემოკრატის საბურველს შემოიძრობენ. დავინახავთ, რომ დემოკრატის ნაცვლად, „დემონკრატი“ აგვირჩევია; რომელიც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ქურდავს, ყიდის ქვეყნისა და მოსახლეობის მიერ შრომით შექმნილ ქონებას, იღებენ უცხოელი „აფერისტებიდან“ ვალებს და გადასახდელად მოსახლეობას, შთამომავლობას უტოვებენ. ამიტომაა საქართველო ასე გაუბედურებული და დასალუპავად განწირული ქვეყანა. ბოლო ოცდაათი წელია, მათ შექმნეს უაღრესად ანტი ეროვნული, ანტი სახელმწიფოებრივი, ანტი, მოსახლეობისადმი მიმართული კონსტიტუცია, კანონები. ასე დაიკანონეს სახელმწიფო და სახალხო ქონება, გააღატაკეს ქვეყანა და მოსახლეობა. ჯერ კიდევ რამდენიმე ათასი წლის წინ დაწერილი „ბიბლია“ გვამცნობს, რომ „მოვლენ სვინდისდაფერფლილი, დე-

მონთ მოძღვრების მქონე არაკაცი ბოროტმოქმედნი და, პირადი გამდიდრების მიზნით, მოსპობენ ქვეყანას და მოსახლეობას. ამავე დროს, ყოველმა ამომრჩეველმა უნდა იცოდეს, რომ მის მიერ არჩეული დემონი რა ცოდვებსაც ჩაიდენს: ღმერთის, ქვეყნის და ხალხის მიმართ ამ ცოდვათა თანამონაწილენი ვართ და უფალი ღმერთის რისხვის დღეს, ისევე დავიხოცებით, როგორც ისინი საკუთარ საქმეთაებრ, საკუთარი ბოროტმოქმედების მიხედვით“.

უბრაელთა მიმართ: 1-1. ღმერთი რომელიც ძველთაგანვე მრავალგზის და მრავალგვარად ელაპარაკებოდა მამებს წინასწარმეტყველთა მიერ, ამ უკანასკნელ დღეებში გველაპარაკება ჩვენ ძის მიერ.

1-2. რომელიც დაადგინა ყოვლის მემკვიდრედ და რომელმაც შექმნა საუკუნენი.

6-6. დაეცნენ და კვლავ განაახლონ სინანული, რაკილა კვლავინდებურად აცვან ჯვარს თავიანთი თავის ძე ღმრთისა და აგინებენ მას.

8-7. რადგან პირველი აღთქმა რომ უნაკლო ყოფილიყო, მეორის ადგილი საძიებელი აღარ იქნებოდა.

8-8. ვინაიდან წინასწარმეტყველი ყვედრებით ამბობს მათ მიმართ: აჰა, მოდიან დღენი, იტყვის უფალი და დავუდებ ისრაელის სახლს და იუდას სახლს ახალ აღთქმას.

8-10. რადგან ეს იქნება აღთქმა, რომელსაც აღვუთქვამ ისრაელის სახლს იმ დღეთა შემდგომ, ამბობს უფალი, ჩავუდებ ჩემს რჯულს მათ გონებაში და მათ გულზე დავწერ მას და ვიქნები მათი ღმერთი, ხოლო ისინი იქნებიან ჩემი ხალხი.

8-12. რადგან მონყალე ვიქნები მათი უსამარ-

თლობის მიმართ და აღარ გავიხსენებ მათ ცოდვებს და მათ ურჯულოებათ.

8-13. ახალიო, რომ თქვა, პირველის სიძველე გვიჩვენა; ხოლო ის, რაც ძველდება და ბერდება, გაქრობად მიწევნადია.

12-6. რადგან ვინც უყვარს უფალს, მასვე ზრდის, ხოლო შოლტით სცემს ყველას, ვისაც ძედ იღებს.

12-7. თუ აღზრდას ითმენთ, იმიტომ, რომ ღმერთი გექცევათ, როგორც შვილებს, რადგანაც არის კია შვილი, რომელსაც არ ზრდიდეს მამა?

12-8. ხოლო თუ შორს ხარ აღზრდისაგან, რომელიც საზიანოა ყველასათვის, ნაბუშვრები ხართ და არა შვილები.

აი, ვინ არიან ებრაელები. ამიტომ ვერ იტანენ ქრისტიან მართლმადიდებლებს. ამავე დროს, მათი დიდი სურვილია, გახდნენ მსოფლიო ბატონები. მათ ყოველ მცდელობას ისრაელიტებმა, იგივე ქართველებმა, ხელი შეუშალეს ყოველთვის, რათა აეცილებინათ მათთვის უფალ ღმერთთან ბრძოლა ამ ტიტულისთვის, რომ უფალ ღმერთს მთლიანად არ მოესპო ისინი...

12-11. ყოველგვარი აღზრდა სიხარულად კი არ გვეჩვენება ამჟამად, არამედ, მწუხარებად, მაგრამ მის მიერ წვრთნილი მიაგებს ნაყოფს მშვიდობისას სიმართლეს.

გამოცხადება: 8-1. და როცა ახსნა მეშვიდე ბექედი, ასე, ნახევარი საათით დუმილი ჩამოვარდა ზეცად.

8-2. და ვიხილე შვიდი ანგელოზი, რომლებიც იდგნენ ღმერთის წინაშე და მიეცათ მათ შვიდი საყვირი...

9-1. და მეხუთე ანგელოზმა ჩაბერა და ვიხილე

ვარსკვლავი, რომელიც ვარდებოდა ქვეყნად, და მიეცა მას გასაღები უფსკრულის ჭისა.

9-2. და გაიღო უფსკრულის ჭა და ამოვარდა კვამლი ჭიდან, როგორც ვეება ღუმელის კვამლი. და დაბნელდა მზე და ჰაერი ჭის კვამლისაგან.

9-3. გამოვიდა კვამლიდან კალიების გუნდი ქვეყნად, და მიეცა მას ხელმწიფება, როგორც აქვთ ხელმწიფება მიწის მოარულთ.

9-4. და ითქვა მათ მიმართ, რათა არ ავნონ რა, არც ბალახს მიწისა, არც მწვანილს რასმე, არც ხეს რასმე, არამედ, მხოლოდ კაცთ, რომელთაც არ აქვთ შუბლზე ღმერთის ბეჭედი.

9-5. და მიეცათ მათ არა მოკვლა მათი, არამედ, წამება მათი ხუთი თვე და წამება მათგან, როგორც წამება მორიელისაგან, როდესაც მოწყლავს (უკბენს) კაცს.

9-6. და იმ დღეებში სიკვდილს დაუწყებენ ძებნას კაცნი და ვერ ჰპოვებენ და ინატრებენ. ნეტავ, მოვკვდეთო, მაგრამ სიკვდილი დაუსხლტება მათ.

9-7. ხოლო კალიები, მსგავსებით, ცხენებსა ჰგვანან, საომრად გამზადებულთ და თავს ადგათ გვირგვინი, როგორც ოქროსი, როგორც სახე კაცთა.

9-8. და ჰქონდათ თმანი, როგორც დიაცთა თმანი, ხოლო კბილები მიუგავდათ ღოჯებს ლომისას.

9-9. და ეცვათ ჯაჭვნი, როგორც რკინისანი და მათი ფრთების ხმა, როგორც ცხენმრავალ ეტლთა გრიალი, რომელნიც დაჰქრიან ბრძოლად.

9-10. და ჰქონდათ კუდნი, მორიელთა კუდების მსგავსნი, ხოლო კუდებზე ნესტარნი და მათ კუდებში – ხელმწიფება კაცთა წამებისა ხუთი თვე.

9-11. და მეფედ ჰყავდათ უფსკრულის ანგელოზი და სახელი მისი ებრაულად **აბადონ**, ხოლო ბერძნულად – **აპოლონი**...

ასეა აღწერილი ბოროტეულთა განადგურება და ყოველ გადარჩენილ ადამიანთა სამომავლო ბედნიერი ცხოვრების დანყება.

გამოცხადება: 1-8. მე ვარ „ანი“ და „ჰოე“, დასაბამი და დასასრული, ამბობს უფალი, რომელიც არის, იყო და იქნება ყოვლისმპყრობელი.

2-9. ვიცი საქმენი შენი და ჭირი და სიგლახავე (თუმცა, მდიდარი ხარ) და გმობა მათი, რომელნიც ამბობენ, იუდეველნი ვართო, და არ კი არიან, არამედ, საკრებულო სატანისა.

12-9. და გადმოვიდა დიდი ურჩხული, დასაბამის გველი, რომელსაც ეწოდება ეშმაკი და სატანა, მთელი სამყაროს მაცდური; გადმოვარდა ქვეყნად და თან გადმოჰყვენენ მისი ანგელოზნი (ეს უკვე იყო, ვნახეთ).

13-2. და მხეცი, რომელიც ვიხილე, ჯიქსა ჰგავდა და ფეხნი მისი, როგორც დათვის ფეხნი და ხმა მისი, და ტახტი მისი და ხელმწიფება დიდი.

13-3. და ვიხილე ერთ-ერთი თავი მისი, თითქოს, სიკვდილით მოწყლული და განიკურნა სასიკვდილო წყლულება მისი და განცვიფრდა ქვეყანა მთელი მხეცის კვალდაკვალ.

ეს ფაქტი უკვე მოხდა, როდესაც სატანა სასიკვდილოდ მოწამლა ერთ-ერთმა მისმა ქვეშევრდომმა და სასწრაფომ ორმოც წუთზე მეტი დააგვიანა, თუმცა, ღმერთის წყალობით, მის მიერ აშვებული სატანა გადარჩა და მუშაობა გააგრძელა, ხოლო კა-

ცისა მკვლელი ქვეშევრდომი მოკლული იქნა სატანის მიერ.

13-4. და თაყვანი სცეს ურჩხულს, რომელმაც მისცა მხეცს ხელმწიფება და თაყვანი სცეს მხეცს და ამბობდნენ: ვინ არის ამ მხეცის მსგავსი? ვინ შესძლებს მასთან ბრძოლას?

13-5. და მიეცა მას პირი მზვაობრად მეტყველი დამგომბელი და მიეცა მას ხელმწიფება, რათა იბრძოდეს ორმოცდაორი თვე.

13-6. და განახვნა ბაგენი თავისი საგმობლად ღვთის მიმართ, რათა გმოს სახელი მისი და სამკვიდრებელი მისი და მკვიდრნი ცისანი.

13-7. და მიეცა მას ძალა წმიდათა მიმართ ბრძოლისა და მათი ძლევისა და მიეცა მას ხელმწიფება, რათა მბრძანებლობდეს ყოველ ტომსა და ენასა და ხალხს.

13-10. ვისაც ტყვედ მიჰყავს სხვა, თვითონაც ტყვედ წაიყვანება. ვინც მახვილით ჰკლავს სხვას, თვითონაც მახვილით მოკვდება აქაა წმიდათა მოთმინება და რწმენა.

13-13. და იქმს დიად სასწაულთ, ისე, რომ ზეცით ჩამოაქვს ცეცხლი ქვეყნად კაცთა წინაშე.

13-14. და აცდუნებს მინის მკვიდრთ სასწაულეზით, რომელთა ქმნაც მიეცა მას მხეცის წინაშე და ეტყვის მინის მკვიდრთ, შექმნან ხატი მხეცისა, რომელსაც აქვს წყლული მახვილისაგან და არის ცოცხალი.

13-15. და მიეცა იმის ძალა, რომ სული ჩაუდგას მხეცის ხატს, რათა ხატი მოქმედებდეს და მეტყველებდეს და იქმოდეს იმას, რომ ვინც თაყვანს სცემს მხეცის ხატს, მოკლულ იქნეს.

13-16. და იქმს იმას, რომ ყველა მცირე, თუ დიდი, მდიდარი, თუ ღატაკი, თავისუფალი, თუ მონა, ყველა აღიბეჭდოს ნიშნით მათ მარჯვენა ხელსა, თუ შუბლზე.

13-17. და ვერავინ იყიდის, ან გაყიდის რასმეს, გარდა იმისა, ვისაც აქვს ნიშანი, ან სახელი მხეცისა, ან მისი სახელის რიცხვი.

13-18. აქაა სიბრძნე, ვისაც აქვს გონება, გამოთვალოს მხეცის რიცხვი, ვინაიდან ესაა რიცხვი კაცისა და რიცხვი მისი ექვსას სამოცდაექვსი.

სატანის ხატია საქართველოს დღევანდელი ე. წ. გერბი, რომელიც აზის ყველა სამთავრობო შენობას შუბლზე, ასევე, სასამართლოებში ყველა სხდომათა დარბაზში კედელზეა განთავსებული.

რაც შეეხება სატანის რიცხვს, ექვსასამოცდაექვსს, ასე განიმარტება. რადგან ვიცით ბუნების კანონია $1+1=3$. მდებდრს მივუმატოთ მამრი, შვილთან ერთად, სამია. ხოლო შვილმა მეუღლე უნდა შეერთოს, ან გათხოვდეს. ასე, რომ ერთი სამიანი უნდა დაუკავშირდეს მეორეს. $3+3=6$. ასე შეიქმნა ერთი თაობა. როგორც ამ რიცხვიდან სჩანს, საქმე გვაქვს სამ თაობასთან, სამ ექვსიანთან: ბაბუები, მამები, შვილიშვილები; ამავე დროს, უნდა ვიცოდეთ, რომ ისინი ქორწინდებიან სოციალურად თანაბარი საზოგადოებრივი ფენების წარმომადგენლებთან. ასე გრძელდება სამი თაობის მოღვაწეობა. დღევანდელი ქვეყნის მმართველები, მათი მამები და ბაბუები იყვნენ და არიან ქვეყნისა და მოსახლეობის მტრები: პირადი გამდიდრების მიზნით იბრძვიან და ფულზე ჰყიდნიან სამშობლოს, მოყვასს, შთამომავლობას. ამი-

ტომ იყო, რომ კომუნისტებს სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ ბაბუები, რომლებიც იყვნენ საკუთარ გამდიდრებაზე მიმართულნი. სხვა არაფერი აინტერესებდათ. ამიტომაც, ზოგიერთი მათგანი მკაცრად დაისაჯნენ. მას შემდეგ, მათ შვილებს არ იღებდნენ კომკავშირში, პარტიაში და ვერც იღებდნენ თანამდებობებს საზოგადოებაში...

იმის გამო, რომ ორმოციან წლებში, საბჭოთა კავშირი ელოდა დიდ ომს გერმანულ ფაშისტებთან და არ სურდა, ქვეყნის შიგნით ჰყოლოდა შინაგანი, მოქმედი მტრები; ამიტომაც გამოიცა ასეთი ბრძანება: „მამები არ აგებენ პასუხს შვილების დანაშაულზე და, შვილები არ აგებენ პასუხს მამების დანაშაულზე“. ამ ბრძანებით მიიღეს შესაძლებლობა, ე.წ. რეპრესირებულთა შვილებმა, შესულიყვნენ კომკავშირში, პარტიაში და დანიანაურებულებიყვნენ სხვადასხვა თანამდებობებზე. ერთი-მეორეს ეხმარებოდნენ დანიანაურებისას. დაიწყო თანდათანობით მექრთამეობის განვითარება, რამაც სტალინის გარდაცვალების შემდგომ, კულმინაციას მიაღწია. სწორედ, მათ მიერ აღზრდილმა შვილებმა, ანუ მესამე თაობამ, მეორე თაობის დახმარებით, მიიღო დანგრეული და გაპარტახებული ქვეყნები, რომლებიც ზოგიერთმა ხელმძღვანელმა ჩვენს შემთხვევაში, საქართველო დაღუპვისა და განადგურების პირამდე მიიყვანა. მივიღეთ დღევანდელი მდგომარეობა. დღეს, მოსახლეობის დიდ უმრავლესობას მომავლის იმედი დაკარგული აქვს. თუმცა, უფალი ღმერთი და მის მიერ დატოვებული შვიდი ათასი კაცი ყველაფერს გავაკეთებთ უფალი ღმერთის დახმარებით და მოსახლეო-

ბის გამოღვიძებით, რომ შევაჩეროთ ქვეყნის ნგრევა და დავინწყოთ მისი აღმშენებლობა.

ამდენად, გამართლდა ი. ბ. სტალინის ყოველგვარი წინასწარი სამართლიანი მოქმედება, ბაბუათა თაობის მიმართ, რომ მათ არ აძლევდა შესაძლებლობას, გაექურდათ და გაეჩანაგებინათ საქართველო და მისი ყოველი მოქმედება მათ მიმართ რომ სწორი იყო, ამას სადღეისოდ კარგად ვხედავთ. მათ, ვისაც მიაჩნია, რომ პარლამენტში, მთავრობაშია და ქვეყნის მართვის სტრუქტურებში მოქმედებენ, თუ რა გაუკეთეს მათ საქართველოს, მის მოსახლეობას, თვალნათლივ ვხედავთ. უნდა გავიხსენოთ, რომ საზღვარგარეთ, საფრანგეთში გაქცეულმა მთავრობამ წაიღო ორმოცდათექვსმეტი ყუთი ეროვნული განძი და იცხოვრეს „ბედნიერად“. თუმცა, ექვთიმე თაყაიშვილისა და სტალინის უშუალო მოქმედებით, მოხერხდა მხოლოდ თექვსმეტი ყუთი განძის დაბრუნება. ასე მთავრდება ცხოვრების ძველი ერა და იწყება ცხოვრების ახალი ერა...

პოლიტიკოსი არის ის მცოდნე, ჯანმრთელი, გამოცდილი, სამშობლოზე, მოყვასზე, შთამომავლობაზე განსაკუთრებით შეყვარებული პიროვნება, რომელიც მოქმედებს სიმართლით და, აქედან გამომდინარე, სამართლით ქადაგებს ყოველ ჭეშმარიტებას, რომ აიყოლიოს ქვეყნის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა. შექმნას გაერთიანებული ძალა, რომ იმოქმედოს აუცილებელი და საჭირო საქმიანობით: ქვეყნის, რწმენის, მოსახლეობისა და შთამომავლობის უმჯობესი, ბედნიერი, მშვიდობიანი მომავლისა და არსებობისათვის...

ალბათ, სამართლიანად გაგიკვირდებათ და იტყვიან: კი, მაგრამ, აქამდე სად იყავი? ვწერდი წერილებს, წიგნებს, ვხვდებოდი მეგობრებს და ვუქადაგებდი სიმართლეს, მაგრამ ფრთხილად, რადგან, „ბიბლია“ მაფრთხილებდა „არ შეებრძოლო სატანას, რადგან მისი ღროა, ელოდე შენს ღროს?“ აუცილებელია, რომ ვამხილოთ ყოველი ბოროტმოქმედება, რომელიც მიმართულია უფალი ღმერთის ქმნილებათა გასანადგურებლად. დედამინაზე სიცოცხლის არსებობის მოსასპობად. ამიტომ აუცილებელია, თითოეულმა ჩვენთაგნმა ვისაც გადარჩენა და სულის მარადიული სიცოცხლე გვინდა, უნდა გამოვიფხიზლოთ, გამოვიღვიძოთ, დავუდგეთ ერთი-მეორეს მხარში. უფალი ღმერთი ჩვენთან არის და შევუდგეთ სათანადო მოქმედებას. ამჟამად უკან დასახევი გზა არ გვაქვს, თითქმის, ყველაფერი მზადაა და მხოლოდ გონივრული მოქმედებაა საჭირო...

ვინც გაიგებს ჩემს ცოდნას და მოინდომებს თანამშრომლობას, ამ დიდ საქვეყნო და საღვთო საქმის გაკეთებაში, გულწრფელად და პატიოსნად რომ ავაშენოთ ბედნიერი, ეკონომიკურად ძლიერი და სათანადოდ დაცული ქვეყანა, ჩვენს შთამომავლობას დაფუტოვოთ სიმართლის მადიდებელი ერი და სახელმწიფო, რომ იცხოვრონ მშვიდობიანად და ბედნიერად.

2021 წლის დეკემბერი

ბრძოლა არსებობისათვის

*„რუსეთის სამომავლო ბედნიერების
გასაღები იბერიაში დევსო!“
წინასწარმეტყველი, წმინდანი
სერაფიმე საროველი*

ქვეყნის გაჩენიდან, დღემდე, უფალი ღმერთის ნებით, ყოველთვის მოქმედებდა ორი, ან მეტი ურთიერთ საწინააღმდეგო აზროვნების, ხალხმრავალი ქვეყნები, სამეფოები, იმპერიები, რომლებიც მისი არსებობისას ფიქრობდნენ, მოქმედებდნენ მსოფლიო ბატონობაზე, ერთმმართველობაზე, შეეცვალათ უფალი ღმერთი და მისი ადგილი მათ დაეკავებინათ... ასე ებრძოდნენ უფალ ღმერთს, მშვიდობას და უფალი ღმერთის ნების აღსრულებას დედამიწაზე...

მათი ეს მცდარი აზრი ამიტომ მარცხდებოდა ყოველთვის და ვერცერთი ქვეყანა, მისი ხელმძღვანელი ვერ გახდა მსოფლიოს მბრძანებელი, პირიქით, თვითონ და მათი ახალგაზრდა ძვლები ნაადრევად ჩაესვენა მიწაში.

მათ იმდენიც კი არ იცოდნენ, რომ სამყაროს შექმნა, დედამიწისა და პლანეტების ურთიერთ მონესრიგებული მოძრაობა, სამოძრაოდ მათთვის საჭირო ენერგიების მიწოდება, მოძრაობისას დაშვებული ცდომილებების გასწორება, გადახრების აღმოფხვრა, მხოლოდ მის შემქმნელს შეუძლია და მის გარეშე ვერავინ ვერაფერს გახდება, მის გარეშე დედამიწაზე სიცოცხლე შეწყდება და ყველა ცოცხალი ორგანიზმი დაიღუპება, ამდენი ცოდნა-განვითარება ჩვენ ვინ მოგვცა? ამიტომაც არიან „უცხოპლანეტელები“ მოვ-

ლენილი დედამიწაზე, რომ გიჟმა ადამიანებმა ეს წეს-რიგი არ დაარღვიონ. გალაქტიკაში სხვა პლანეტების ქაოსური მოძრაობა არ გამოიწვიონ. ამიტომაც ისინი სხედან უსასტიკესი იარაღის სამოქმედო შენობებში და ყოველნაირად ხელს შეუშლიან ასეთ მძლავრ იარაღთა გამოყენებას...

ამდენად, უნდა ვიცოდეთ, საერთოდ არ არსებობს ისეთი ძალა, ენერჯია, ცოდნა, რომელიც უფალმა ღმერთმა არ იცოდეს და მის გარეშე შესძლოს ვინმემ მისი გამოყენება. ამიტომაც ქართველებმა უწოდეს მას ღმერთი: **ლ-ღვთიური, მ-მალალი** ერთი და მისი შემცვლელი მეორე, უბრალოდ, არ არსებობს.

ყოველივე ამის შესახებ, გერმანელი გენიოსი, ალბერტ დიურერი, გვამცნობს:

„ვინც მთელ მსოფლიოს ეპოტინება, მასვე ნალეკავს ჟამთა დინება“. მსოფლიოს მნიგნობარი, უინსტონ ჩერჩილი, ამბობს:

„დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი? გაიმარჯვა საბჭოთა კავშირმა. იცოდეთ, რომ მთელი მსოფლიო დაემსგავსება დიდ ცირკს, სადაც ორი დიდი ცხოველის, საბჭოთა კავშირისა და აშშ-ის გარშემო, სხვა პატარა ცხოველები იკუნტრუშებენ და ითამაშებენ“... მსოფლიოს სამი უდიდესი პოლიტიკოსის: ი. სტალინის, ფ. რუზველტისა და უ. ჩერჩილის უდიდესი შემოქმედებით, ფაქტია, დედამიწაზე აქამდე შევინარჩუნეთ მშვიდობიანი ცხოვრება და არსებობა.

დიდება მათ ხსოვნას, უფალი ღმერთი ჰფარავდეს კაცობრიობას მესამე მსოფლიო ომის დაწყებისაგან.

თუ გადავიკითხავთ 1989 წელს გამოცემულ წიგნს, „ეფრემ ვერდს“, როგორი იქნება 2022 წელი? „იქნება

საშინელი ომიანობა და ერის ურჩობა მეფის წინაშე, აგრეთვე, დამხოზა ერთ-ერთი მეფისაგან და იქნება შუღლი ძმებში... 2023 წელში იქნება საზარელი ჩხუბები და ხოცვანი ხალხთა; „სახელოვანი და მდიდარი კაცები დაიხოცებიან, მაგრამ, მაინცდამაინც, ეს წელიწადი იქნება მყუდრო, საამური და ჯანმრთელი“.

ისმის კითხვა, რატომ სურთ საქართველოს, უკრაინის პარლამენტს, მთავრობას, პრეზიდენტს და ე.წ. ოპოზიციურ პარტიებს ნატოში შესვლა? ევროკავშირში გაერთიანება? არალეგიტიმური ქვეყნის ხელმძღვანელები, იმიტომაა, რომ არაკანონიერი საარჩევნო კანონით სარგებლობენ, ისინი არასოდეს აურჩევია ამომრჩეველთა რაოდენობის დიდ უმრავლესობას, რადგან ჩატარებულ არჩევნებზე, თითქმის, ამომრჩეველთა 55-60 პროცენტი არ მიდის, ხოლო თუ მიდიან, ან ფულის ინტერესით, ან ყალბი დაპირებით, ან თანამდებობაზე დანიშვნის მიზნით... ხოლო ამომრჩეველთა დიდი უმრავლესობა არ მიდის იმის გამო, რომ სულერთია, არჩევნებს მაინც გააყალბებენ... ნატოში, ევროკავშირში შესვლა სურთ იმის გამო, რომ დიდი ხარჯები სჭირდება თავდაცვას, ჯარის შეიარაღებას, ჯარის შენახვას. ყოველივე ამას თავიდან აიცილებენ, ხოლო ევროკავშირში შესვლა სურთ იმიტომ, რომ ამ კავშირში შესვლით მოახერხებენ ამ კავშირის წევრი ქვეყნებიდან მიიღონ ფული და ეკონომიკური დახმარება, ამით შედარებით გააუმჯობესებენ მოსახლეობის კეთილდღეობას, აამაღლებენ ცხოვრების დონეს. თვითონ კი, მათი შეხედულებით, ამ დახმარებებიდან უეჭველად ისარგებლებენ...

განა ევროკავშირის ქვეყანათა წევრი ქვეყნების

ხელმძღვანელები სულელები არიან, რომ გადატაკებული ქვეყნები მიიღონ კავშირში, ნატოში, რომ დაცივან და არჩინონ კიდევ?..

